სასაქონლო-მატერიალური მარაგების, რომლებიც გამოიყენება საქმიანობის პროცესში, ასახვა ხდება ბალანსზე შესაბამის ანგარიშზე კომპანიის საქმიანობის ადგილების მიხედვით ობიექტების შესაბამისად ქვეანგარიშების და კონკრეტული სმფ-სათვის ცალკე ანგარიშის გახსნის გზით. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოების შუალედურ ანგარიშებზე გახსნილია თითოეული სამშენებლო ობიექტის შესაბამისი წარმოების შუალედური ანგარიში, რომელზეც ხდება მარაგებიდან სმფ-ების გადმოტანა ხარჯვის შესაბამისად საშუალო შეწონილის მეთოდით (ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას).

მზა პროდუქცია აღრიცხულია შესაბამის ანგარიშზე, რომელსაც ისევე როგორც დაუმთავრებელ წარმოებას გახსნილი აქვს სამშენებლო ობიექტების შესაბამისი ქვეანგარიშები. პროდუქცია ბალანსზე აიყვანება სამშენებლო ობიექტის სრულყოფილად აშენების შემდეგ, რაზედაც ფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. ხოლო ხარჯებში ჩამოიწერება რეალიზაციის შესაბამისად ფართის კვადრატულობის მიხედვით საშუალო შეწონილი მეთოდით. რეალიზაციის მომენტად კი აღებულია საჯარო რეესტრში ფართის მყიდველზე რეგისტრაციის თარიღი.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულია რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას. კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება (მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით); 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და მათ შესამცირებლად, არის შემდეგი:

- 1) ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
- 2) რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში და გაყიდვების მენეჯერების მომხმარებლებისთვის;
- 3) ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ. თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება; მაღალი ფასით პროდუქციის შეძენის შემთხვევების გადამოწმება საკონტროლო შესყიდვებით ან ბაზრის წინასწარი შესწავლის გზით;
- 4) მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
- 5) დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი;

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ საზოგადოების გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. საზოგადოებას ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი აქვს მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. წინასწარ გადაწყვეტილებაში მისაღები პოზიცია მოიცავს 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე საანგარიშო პერიოდს. წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად ფინანსთა სამინისტროს შეუძლია მიიღოს კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქმნას დამატებითი გადასახადების დარიცხვის ან/და შემცირების რისკი.

კაპიტალის მართვა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

ნომერი	დასახელება	ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2017	ნაშთი 31.12.2016
1	შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	გაცემული სესხი	788300	448500
2	შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	მისაღები პროცენტი	111454	13487
3	შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	ბინების რეალიზაცია	562700	179400
4	შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის რეალიზაცია	243021	172282
5	შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის შეძენა	40607	0
	ჯამი:		1746082	813669

ნომერი	დასახელება	ოპერაციის სახე	თანხა 2017	თანხა 2016
1	შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	გაცემული სესხი	339800	448500

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

2	შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	ბინების რეალიზაცია	383300	179400
3	შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის რეალიზაცია	70739	41944
4	შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის შეძენა	40607	33231
	ჯამი:		834446	703074

ნომერი	დასახელება	ოპერაციის სახე	თანხა 2017	თანხა 2016
1	შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	სესხზე დარიცხული პროცენტი	97967	13487
	ჯამი:		97967	13487

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 31 დეკემბერი,

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

	2017 წ.	2016 წ.
ლარი/აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ლარი/ ევრო	3.1044	2.7940

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადება

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. იგი წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

დაგეგმვა მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი

მიღწევის გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ. კონტროლი - გეგმის ფაქტობრივად შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტობრივი ხარჯებისა და შემოსავლების შედარებას.

შეფასება - გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია, მისი გაუმჯობესების მიზნით, ამ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი. გაირკვეს, რამ შეუშალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას, რა იყო მიზეზი - დაგეგმვის ან კონტროლის ნაკლოვანება, თუ თვითონ მიზანი იყო არასწორად არჩეული.

4. არსებითი ფინანსური ანგარიშგებები (მოცემულია ლარში)**4.1 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები**

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
ფულადი სახსრები სალაროში	205 396	35 256	2 398
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	2 333 291	5 233 516	3 290 992
სულ:	2 538 687	5 268 772	3 293 390

4.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	2 935 392	1 895 195	1 624 639
გაცემული სესხები	923 364	485 597	23 611
გადახდილი ავანსები	1 417 308	598 540	1 030 655
სხვა საგადასახადო აქტივი	1 159 351	579 891	271 340
სულ:	6 435 415	3 559 224	2 950 245

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
ძირითადი წედლეული და მასალები	965,851	733,743	931,782

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

დაუმთავრებელი მშენებლობა	9,072,401	11,549,529	8,550,131
მზა პროდუქცია	736,927	96,065	161,209
სულ:	10,775,179	12,379,337	9,643,121

4.4 ძირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2017	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2016	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2015
	შეძენის ღირებულება							
1	მიწა	5352694	5352694	0	0	0	0	0
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	0	0	0	0	0	0	0
3	შენობა-ნაგებობა	127624	5880	0	121744	111786	556848	566806
4	მანქანა- დანადგარები	46891	0	0	46891	9243	13340	50989
5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	352979	8857	3498	347620	52485	97898	393033
6	სატრანსპორტო საშუალებები	411595	134024	0	277571	21545	0	256026
7	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	864	0	0	864	0	0	864
8	სხვა ძირითადი საშუალებები	18875	14483	0	4392	1800	593	3185
	ჯამი	6311520	5515937	3498	799081	196858	668679	1270902

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2017	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2016	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2015
	ცვეთა							
1	მიწა	0	0	0	0	0	0	0
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	0	0	0	0	0	0	0
3	შენობა-ნაგებობა	31426	8726	0	22700	8392	41602	55910

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

4	მანქანა-დანადგარები	29773	8221	0	21552	8353	5104	18303
5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	217941	61696	1807	158052	64231	34260	128082
6	სატრანსპორტო საშუალებები	194113	58384	0	135728	51923	0	83805
7	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	662	173	0	490	173	0	317
8	სხვა ძირითადი საშუალებები	1328	651	0	677	410	0	267
	ჯამი	475243	137851	1807	339199	133482	80966	286683
	საბალანსო ღირებულება	5836277			459882			984219

4.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
ვალდებულებები შეძენილი საქონლიდან და მომსახურებიდან	325 950	35 572	23 921
მიღებული ავანსები	14 235 415	14 565 953	12 030 126
გადასახდელი ხელფასები	803	1 639	956
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	0	0	8 805
სულ:	14 562 168	14 603 165	12 063 809

4.6 საგადასახადო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
საგადასახადო ვალდებულებები	98 505	663 150	-88 238
სხვა ვალდებულებები	17 695	641 578	579 892
სულ:	116 200	1 304 728	491 654

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

4.7 კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება

შინაარსი	31.12.2017 წელი	31.12.2016 წელი	31.12.2015 წელი
დამფუძნებლის (საწესდებო) კაპიტალი	272 000	272 000	272 000
გაუნაწილებელი (დაგროვებული) მოგება	10 635 190	5 487 321	4 043 512
სულ:	10 907 190	5 759 321	4 315 512

4.8 ამონაგები**საოპერაციო შემოსავლები**

შემოსავლები	2017 წელი	2016 წელი
ბინების რეალიზაცია	14 334 321	7 105 157
შემოსავლები იჯარიდან	2 793	0
საქონლის რეალიზაცია	3 189	1 106
სულ:	14 340 303	7 106 264

არასაოპერაციო შემოსავლები

შემოსავლები	2017 წელი	2016 წელი
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	0	593 220
ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	95 243	335 822
პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი	167 530	59 839
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2 987	21 439
სულ:	265 760	1 010 320

4.9 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება მზა პროდუქციისაგან და სხვა საქონლისაგან.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

	2017 წელი	2016 წელი
მზა პროდუქცია	5,306,406	2,911,203
სხვა საქონელი	1,084	861
სულ:	5,307,489	2,912,064

4.10 ხარჯები**1. საოპერაციო ხარჯები**

დანახარჯები	2017 წელი	2016 წელი
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	229,208	159,378
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	18,573	30,218
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	30,449	4,237
საკონსულტაციო ხარჯი	11,520	6,000
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	6,926	9,374
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	34,454	54,614
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	17,608	22,710
ცვეთა და ამორტიზაცია	137,851	133,482
საბანკო ხარჯები	7,862	6,280
საკანცელარიო ხარჯები	4,474	10,216
საშუამავლო მომსახურება	69,025	55,727
მივლინებების ხარჯები (კომერციული)	4,275	
საჯარო რეესტრის მომსახურება	7244	6,400
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	87,106	15,399
სულ ხარჯები:	666,575	514,035

2. არასაოპერაციო ხარჯები

დანახარჯები	2017 წელი	2016 წელი
-------------	-----------	-----------

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ვალუტის გადაფასებით მიღებული ხარჯი	344,710	66,655
რეალიზებული ძირითდი საშუალების თვითღირებულება		475,882
სულ ხარჯები:	344,710	542,537

4.11 მოგება განაწილებამდე

შედეგი	2017 წელი	2016 წელი
სულ შემოსულობა	14 606 064	8 116 584
სულ ხარჯები	-6 318 775	-3 968 636
სულ მოგება:	8 287 289	4 147 948

4.12 მოგების გადასახადი

შედეგი	2017 წელი	2016 წელი
მოგების გადასახადი	352 672	632 226
სულ მოგების გადასახადი:	352 672	632 226

2017 წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა (დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით) შეადგენს **352 672** ლარს.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2018 წლის 23 აგვისტოს.

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს “REAL PALACE“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

3. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „REAL PALACE“, საიდენტიფიკაციო ნომერი 445394591, დარეგისტრირებულია საქართველოში, 2011 წლის 23 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ბათუმი, ბაგრატიონის 97-99. მისი ძირითადი საქმიანობაა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საზოგადოების დამუშნებლები დაარსებიდან დღემდე არიან: ლევან ხიმშიაშვილი, პ/ნ 61010004180 – 33% წილის მფლობელი; ჯუმბერ ზოიძე, პ/ნ 61005000380 – 34% წილის მფლობელი; თამაზ ბექაია, პ/ნ 01024081285 – 33% წილის მფლობელი. 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 272 000 ლარს. ამჟამად კომპანიის დირექტორია ედნარ ხიმშიაშვილი (პ/ნ 61002004529).

4. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის საქმიანობას იმთავითვე მშენებლობა წარმოადგენდა, კერძოდ კომპანიის პირველ სამშენებლო პროექტს წარმოადგენდა ქ. ბათუმში ჯავახიშვილის 4ა-ში განთავსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. დაარსებიდან იგი არ იცვლის საქმიანობის სფეროს და დღეისათვის 4 მრავალსართულიანი სახლი აქვს აშენებული, ასევე აქვს 2 მიმდინარე მშენებარე პროექტი, მათი ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: www.realpalace.ge/ge/.

შპს „REAL PALACE“ გამოირჩევა მშენებლობის უმაღლესი ხარისხით, რის გამოც გვყავს ბევრი ერთგული მომხმარებელი.

შპს „REAL PALACE“ მშენებლობას ძირითადად ქალაქ ბათუმში ახორციელებს.

შპს „REAL PALACE“

მმართველობის ანგარიშგება

საქართველოში მშენებლობის სფეროს ძირითადად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები არეგულირებს. კანონი განსაზღვრავს მშენებლობის უსაფრთხოების წესებს და სხვა მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის მიღების წესებს, მშენებლობის ეტაპების პროექტთან მკაცრ შესაბამისობას და კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის დაწესებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ თვითმართველი ქალაქი ბათუმის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში შემავალ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელი ორგანო.

კომპანიას არ განუხორციელებია კვლევები და არც მომავალში აპირებს ამას.

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. ძირითადი ოფისის მისამართი გამუდმებით იცვლება მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მისამართების მიხედვით. დღეისათვის შპს „REAL PALACE“-ს მისამართია ქ. ბათუმი, ფიროსმანის 18ბ.

5. შიდა სტრუქტურა

ჩვენს კომპანიაში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ა) ლევან ხიმშიაშვილი პ/ნ 61010004180;

ბ) ჯუმბერ ზოიძე პ/ნ 61005000380;

გ) თამაზ ბექაია პ/ნ 01024081285;

კომპანიას უშუალოდ მართავს დირექტორი - ედნარ ხიმშიაშვილი პ/ნ 61002004529;

გაყიდვების მენეჯერები: დიანა ხანდამიშვილი და ლეონა რიჟვაძე

მთავარი ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე

შპს “REAL PALACE”

მმართველობის ანგარიშგება

იურისტი: კობა ფუტყარაძე

დიზაინერი: ლევან შარაშიძე

სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი: ზაზა ბერიძე;

ტექნიკური ინჟინერი: ნუგზარ მიქელაძე

წარმოდგენილი გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. დღისთვის კომპანიაში 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

6. სამომავლო გეგმები

კომპანიას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და უახლოეს მომავალში იწყებს ქ. ბათუმში, ჟიული შარტავას ქუჩაზე 47 სართულიანი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. აღნიშნული კომპლექსის 15 სართული სრულიად დაეთმობა საცხოვრებელს სახლს, შემდეგი სართულებზე კი განთავსდება აპარტამენტები.

7. რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები

ჩვენი კომპანიის მთავარი რისკი დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკია. კომპანიაში მოქმედებს მოქნილი 3-წლიანი შიდა უპროცენტო განვადების სისტემა, რაც კომპანიას, მეორეს მხრივ დავალიანების ამოუღებლობის რისკის წინაშე აყენებს. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, დავალიანების გადაუხდელობისას იგი უზრუნველყოფილია გაყიდული ქონებით, თუმცა სასამართლო წესით საქმის წარმოების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, აღნიშნული დიდ ზიანს აყენებს ჩვენს კომპანიას.

შპს “REAL PALACE”

მმართველობის ანგარიშგება

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს “REAL PALACE“-ს

დირექტორი:

ედნარ ხიმშიაშვილი

შპს "REAL PALACE"

მმართველობის ანგარიშგება

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამოიცილოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს "REAL PALACE"-ს

დირექტორი:



ედნარ ხიმშიაშვილი